

დაბნეული ადამიანი თომას ჰარდის რომანების მიხედვით

ზურაბ ვეფხვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე უცხო ენათა ფილოლოგია  
(ანგლისტიკა) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა უცხო ენათა  
ფილოლოგია (ანგლისტიკა) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას თომას ჰარდის რომანების მიხედვით გამოიკვლიოს კანონზომიერება, რომელიც საფუძვლად დაედო თომას ჰარდის რომანში ასახული ადამიანის სახის ჩამოყალიბებას. ნაშრომის მიზანია ჰარდის რომანებზე ინდივიდუალური დაკვირვების შედეგად გამოკვეთოს ჰარდის ადამიანის განზოგადოებული სახე.

კვლევის პროცესში ყურადღება ეთმობა რომანების მიხედვით გამოკვეთილ ჰარდის შეხედულებებს იმ ფუნდამენტურ საკითხებთან, რომელთაც ნაშრომის მიხედვით კავშირი აქვს ადამიანის სახის ჩამოყალიბებასთან. ასეთი საკითხებია: ჰარდის ზოგადი იდეოლოგია, რომელიც მის რომანებში შეიგრძნობა, რელიგია, ოჯახი და სხვა. ნაშრომი ცდილობს დაინახოს კავშირი რომანში ასახულ გარემოსა და ადამიანს შორის და გამოკვეთოს ადამიანის ფსიქოლოგიის განსაკუთრებული დეტალები, რომლებიც ჰარდის ადამიანის განზოგადებაში დაეხმარება.

ნაშრომში ყურადღება აქვს დათმობილი ჰარდის რომანის სიუჟეტურ სტრუქტურას, პერსონაჟების გაშუქების სიხშირეს, ხარისხს, რომანის სიმბოლიკას და სხვა ლიტერატურულ მახასიათებლებს, რომლებიც ასევე გამოკვეთს თომას ჰარდის რომანის ადამიანს.

ნაშრომის მიხედვით იკვეთება ჰარდის, როგორც სამყაროს სტერილურობაში დარწმუნებული ადამიანის შემუშავებული სტრატეგიები მასში საარსებოდ; ასევე მისი შეხედულებები რელიგიის, სამშობლოს, ტრადიციის, ოჯახის როლის შესახებ ადამიანის განვითარებაში. ამ კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები არის საწყისი წერტილი, იმისათვის, რომ ნაშრომმა გამოკვეთოს ჰარდის ადამიანის ფენომენი. ზემოაღნიშნული ღირებულებების არასწორი ფუნქციონირება ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ჰარდის რომანებში აღწერილი ადამიანის უსიხარულო ყოფის, რომელთაც ფუჭი საფუძველი შეუქმნეს ადამიანთა არსებობას. მათი გავლენა ადამიანის ქცევასა და რეპლიკებზეც აისახა და მათი განვითარების შემაფერხებელი მიზეზიც შეიქმნა. ლიტერატურული მახასიათებლებით ჰარდის რომანი განწირული ადამიანის თემას კიდევ უფრო ამძაფრებს. ანტიკური ტრაგედიის მსგავსი ბედის განსაზღვრულობის

და სპეციფიკური სიმბოლიკის გამოყენებით თომას ჰარდის ადამიანი თავისი  
უსაშველო ყოფით ყოველთვის წინა პლანზე მოდის მის რომანებში.

საკვანძო სიტყვები: თომას ჰარდი, ადამიანი, ფილოსოფია, გარემო

## **Abstract**

The work is an attempt to define the system of notions and ideas serving as a fundamental source of human's existence in the novels of Thomas Hardy. Through individual examination of Hardy's novels the work aims to generalize him.

In the process of analysis of Hardy's novels, the work relies on author's views on fundamental issues, which according to our work has to do with creation of the human, as he is presented in the novels. Issues like – Thomas Hardy's general ideology, religion, family, etc.

The work tries to see connection between human and environment and define some precise details about human's psychology in the realm of Hardy's novels, which will help it to generalize him.

The work pays attention to plot structure, character works, quality of their presentation, symbolism and other literary devices used in the novels, which also define Hardy's human.

Our work detects strategies of ways of living in the world as sterile as Hardy believed it was, as well as his ideas about roles of religion, homeland, tradition and family in the development of person. The results of that analysis serve as a starting point for our subsequent task – to define phenomenon of human.

Ill functioning of the values mentioned above is one of main reasons for lifelessness of the human, as well as they are the reasons for human's sterile inner self, which manifests in his behavior and speech and which serves as an obstacle to his development.

Literary devices used in Hardy's novels intensify human's severe condition even more. Through similarities with Greek drama by handling of themes, like determined fate and negotiation of precise symbolism, human of the novel with his severe condition always stands out in Hardy's novels.

**Key words: Thomas Hardy, Human, Philosophy, Environment.**